


დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვის დაზუსტება 1106



➤ *სიტუაციური სახელმძღვანელო არ ვრცელდება საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ დანაკლისზე*

ანოტაცია
„დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვის დაზუსტება“ №1106
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელოს დამტკიცების მიზანია დაზუსტდეს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს პირის საგადასახადო ვალდებულება დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაში.

დღგ-ის გადამხდელ პირს 2015 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციით დეკლარირებული აქვს 12 000 ლარის სმფ-ის ნაშთი. პირს 2016 წლის წლის იანვარ- მარტის პერიოდში შეძენები და მიწოდებები არ უფიქსირდება, ამასთან არ განუხორციელებია საგადასახადო ანგარიშგება .

დადგინდა, რომ 2016 წლის 22 აპრილს პირს ფაქტობრივად სასაქონლო ნაშთი არ გააჩნდა. პირმა აპრილის თვის დღგ-ის დეკლარაციაში ასახა 1500 ლარის მარაგის რეალიზაცია.

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, დანაკლისი არის გადასახადის გადამხდელის ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარებისას გამოვლენილი (მათ შორის, ინვენტარიზაციის საშუალებით) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების ნაკლებობა. ხოლო სსკ-ის 289-ე მუხლის თანახმად, გადასახადის გადამხდელთან ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად.

პირმა აპრილის თვის მიხედვით დღგ-ის ბრუნვა შეამცირა 10 500 ლარის მარაგის საბაზრო ღირებულებით. გამოვლენილი დანაკლისის მისი აღმოჩენის მომენტში, ჩაითვლება საბაზრო ფასით მიწოდებად. შესაბამისად, უნდა დაზუსტდეს აპრილის თვის დღგ-ის დასაბეგრი ბრუნვა.

სიტუაციური სახელმძღვანელო არ ვრცელდება ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ დანაკლისზე.